ფსილოციბის სოკოს ზეგავლენა ცხოვრების ხარისხზე

გიორგი ლეკიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი დავით ოთიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. აკადემიური წერის კურსის ფარგლებში, სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია მოცემული კლვევის მასალები.

გიორგი ლეკიაშვილი

25.06.2021

აბსტრაქტი

ფსილოციბის სოკოს ეფექტის შესასწავლად ბოლო 15 წლის მანძილზე ბევრი კვლევა ჩატარდა. მოცემული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა ფსილოციბის სოკოს სამედიცინო ღირებულება ფსიქოლოგიური დისტრესის, შფოთვითი აშლილობისა და გარკვეულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების სამკურნალოდ. კვლევის მიზანია დაადგინოს, თუ რა სახის ზეგავლენას ახდენს ფსილოციბის სოკოს მოხმარება ცხოვრების ხარისხზე. კვლევის მიდგომად შეირჩა თვისებრივი კვლევა. ჩატარდა 10 ინდივიდუალური, ჩაღრმავებული ინტერვიუ ჰალუცინოგენური სოკოს მომხმარებლებში. ტრანსკრიპტაციის მიზნით მინდინარეობდა ინტერვიუების აუდიო ჩაწერა. შეგროვებული ტექსტური მასალის დამუშავება და ანალიზი მოხდა თვისებრივი კვლევის ანალიზისთვის განკუთვნილი პროგრამის NVivo11-ის საშუალებით. აღნიშნული კვლევიდან ირკვევა, რომ რესპოდენტები ფსილოციბის სოკოს მოხმარებას აღიქვამენ როგორც შემეცნებით სამყაროში მოგზაურობას. თრობის ქვეშ მიღებულ გამოცდილებას აღწერენ როგორც მამოტივირებელ და მრავლისმომცემად. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ ბუნების მიმართ მომატებულ სიყვარულსა და გაძლიერებულ „სულიერ კავშირს“. დაფიქსირდა მომატებული მიზანდასახულობა და შრომისუნარიანობა. გაძლიერდა კარიერული და პიროვნული განვითარების სურვილი. კვლევის დროს გამოვლინდა ფსილოციბის სოკოს დადებითი ზეგავლენა ისეთი ნივთიერებების აბსტინენციაზე როგორიცაა თამბაქო, ალკოჰოლი, მარიხუანა და ოპიოიდები. კვლევის დროს გამოიკვეთა ახალი ურთიერობებისა და ახლობლების მიმართ მომატებული პოზიტიური დამოკიდებულება. ფსილოციბის სოკოს მეტწილად

მოიხმარენ მისი შემეცნებითი ხასიათის გამო. ფსილოციბის სოკოს მოხმარებას შეიძლება დადებითი ზეგავლენა ქონდეს ბუნებისა და გარემოს აღქმაზე. ასევე შესაძლებელია ფსილოციბის სოკოს მოხმარება დადებითად აისახოს პიროვნების განვითარების სურვილზე. შესაძლებელია ვისაუბროთ ფსილოციბის სოკოზე, როგორც სხვადასხვა ნივთიერებების ავად მოხმარების პრევენციაზე. ამის დამატკიცებლად საჭიროა ჩატარდეს სიღრმისეული კვლევები.

საძიებო სიტყვები: ფსილოციბის სოკო, ცხოვრების ხარისხი, ჰალუცინოგენი, რემისია.

Abstract

For the past 15 years many studies were done to investigate the effects of psilocybe mushrooms. Based on these studies psilocybin manifested its medical value for psychological distress, anxiety and for treating substance use disorders. The purpose of this study is to examine the potential impact of consumption of psilocybe mushrooms on quality of life. A qualitative analysis was used for the study. 10 users of halucinogenic mushrooms were interviewed. In order to transcribe interviews, they were audio-recorded. Software NVivo11 was used for processing and qualitative analysis of the gathered texts. Results of the study suggest that respondents perceive the use of psilocybe mushrooms as a cognitive journey. They describe the mushroom-induced experience as motivating and fulfilling. Respondents indicate increased passion towards the nature and enhanced "spiritual bond", increased purposefulness and capacity for work, increased desire for career and personal development. Study also indicated the role of psilocybe mushrooms for achieving

abstinence from some addictive substances like tobacco, alcohol, cannabis and some opioids. Increased desire for forming new relationships and improving relationships with relatives was also noted. Psilocybe mushrooms are mostly used for their cognitive effects. Use of psilocybe mushrooms can have positive effects on perceiving nature and environment. It can also have positive effects on desire for personal development. Arguments can be made for psilocybe mushrooms as a potentially useful agent for substance use disorder. To prove this, more indebt research is needed.

Key words: Psilocybe mushrooms, quality of life, hallucinogen, remission.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, დავით ოთიაშვილს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს ირმა კირთაძეს, კვლევის მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციებისათვის.

მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე ყველა რესპოდენტს გაწეული სამსახურისა და გულახდილი პასუხებისათვის.